ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

# დადგენილება N20

05 აგვისტოს 2019 წელი

---

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 ივლისის N18 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1**.შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 ივლისის N18 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“( საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 04/07/2019, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.128.016.382).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„ მუხლი 2.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციის ფორმა (განაცხადი) დანართი №2-ის შესაბამისად“.

2.შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართის მე-2 მუხლში და ამოღებული იქნეს პუნქტი N5.

3. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„ლ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული“.

4. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართის მე-7 და მე - 8 მუხლში და ამოღებული იქნეს პუნქტის ნუმერაციის აღმნიშვნელი ციფრი 1.

**მუხლი 2** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე